პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 272 (5373) | ორშაბათი, 28 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საჭიროა ბოლო მოეღოს წრეების მუშაობის ფორმალურ-ბიუროკრატიულ რეგლამენტაციას (პარტიული სწავლების ერთიანი დღე, ორსაათიანი მეცადინეობა მუშაობის დამთავრების შემდეგ და სხვა). თვითეული წრის მეცადინეობის განრიგს უნდა აწესებდნენ მისი მონაწილენი პროპაგანდისტთან ერთად ადგილობრივ პირობათა მიხედვით. თვითეული მეცადინეობა უნდა გრძელდებოდეს მანამდე, სანამ წრის მონაწილეები საჭიროდ დაინახავენ დასმულ საკითხთა საფუძვლიანად შესწავლას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

გერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა სიმხეცე

გერმანელი ფაშისტები არ სცხრებიან. ისინი ახალ სიმხეცეს და ველურობას მიმართავენ. ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან მშვიდობიან ებრაელობას როგორც გერმანიის შიგნით, ისე ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობილ ტერიტორიაზე და დანციგში. არბევენ და ანადგურებენ ებრაელებს. არ ინდობენ არც დიდს და არც პატარას, არც ჭაბუკს და არც კაცს. აწამებენ ებრაელ მოხუცებს, ამცირებენ და პურად იგდებენ ებრაელ მეცნიერებს, საუკეთესო ებრაელ ადამიანებით აავსეს ციხეები, საკონცენტრაციო ბანაკები. რამდენიმე ასეული და ათასეული ებრაელი დარჩა უსახლკაროდ, ჭუჭაში გაყრილი, რამდენიმე ასეული და ათასეული ებრაელი საზღვარგარეთ გარბის, ბევრი მათგანი მიმართავს თვითმკვლელობას, ბევრი დაავადმყოფდა და დასახიჩრდა, ბევრი მათგანი სიგიჟემდე მიდის — ასეთია ნაციონალ-სოციალისტური აღზრდის ის ნაყოფი, რომელიც ფაშისტმა ჯანიბალებმა, საშუალო საუკუნეების ბარბაროსებმა არგუნეს გერმანიის ხალხს.

ეს სიმხეცე და საზიზღრობა რომ დაეფარათ, ფაშისტმა ჯანიბალებმა სცადეს ებრაელთა რბევა გამოეცხადებინათ სტიქიურ მოძრაობად, თითქოს ამ რბევის ჩატარებაში მონაწილეობდა მოსახლეობა და სხვ. მაგრამ ფაშისტების ამ მახინაციებს უკვე აეხადა ფარდა. ებრაელთა რბევის ორგანიზატორები არიან ფაშისტური მთიერიშეები („ს. ა."), მცველი რაზმები („ს. ს.") და „ჰიტლერული ახალგაზრდობის" ორგანიზაციათა წევრები, რომლებსაც მთავრობის სათანადო განკარგულება აქვთ მიღებული.

გერმანელი ხალხი დიდ აღშფოთებას გამოსთქვამს ფაშისტების ასეთი სიმხეცის გამო. 13 ნოემბერს „საზოგადოების უკეთ ფენის წარმომადგენელთა" თათბირზე მიღებულ მიმართვაში ნათქვამია: „გერმანელ ხალხს წილი არ უდევს ებრაელთა რბევაში და ჰგმობს მას. ჩვენ აღშფოთებულნი ვართ ჰებელსის განცხადებით, თითქოს ეს ბოროტმოქმედება ებრაელებისადმი ურმანელი მოსახლეობის სიძულვილის შედეგი იყოს. ჰებელსის განცხადებას არაფერი აქვს საერთო გერმანელი ხალხის ნამდვილ გრძნობებთან".

უდიდესი აღშფოთებითა და პროტესტით ხვდებიან გერმანელი ფაშისტების ბარბაროსობას მთელი მსოფლიოს მშრომელები. ისეთი წრეებიც კი, რომლებიც სიმპატიურად არიან განწყობილნი გერმანელი ფაშისტებისადმი, ვერ ფარავენ გერმანელ ფაშისტების საზიზღარ მოქმედებას. ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი ორგანიზაციები და პრესა ერთსულოვნად ჰგმობენ გერმანელი ფაშისტების ბარბაროსობას და ამასთან აღნიშნავენ, რომ ებრაელების რბევას აქვს ორგანიზებული ხასიათი. ყოფილმა პრეზიდენტმა ჰუვერმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ „ფაშისტების მხეცობა ებრაელი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გერმანიას, როგორც ცივილიზებულ ქვეყანას, 450 წლით ადრევინებს უკან. მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა გადაჭრით ჰგმობს ამ სისასტიკეს".

ბერხტესგადენის მაღაროელთა პროფკავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა 120 ათასი წევრის სახელით გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს სიმხეცე „გერმანიის მთავრობასა და მის მოიერიებს ბარბაროსთა კატეგორიას აკუთვნებს. ასეთი საქციელი მათ ჯენტლების მხეცებზე დაბლა აყენებს".

სწორი შეფარდებაა.

რომელ ადამიანს არ აელელვებს ფაშისტების სიმხეცე, რასაც ისინი სჩადიან გერმანიაში ებრაელების მიმართ?

ქმარა!

მოწინავე კაცობრიობამ, რომელიც ჰუმანიურობის მაღალი გრძნობებითაა აღჭურვილი, სასტიკი განაჩენი უნდა გამოუტანოს გერმანელ და იტალიელ ფაშისტ-ჯანიბალებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ებრაელების რბევაში. ნურავინ იფიქრებს, რომ ებრაელების რბევა, მათი განადგურება ფაშისტების ძლიერებისა და სიცოცხლის უნარის მომასწავებელი იყოს, პირიქით, ებრაელების რბევა ფაშისტების უძლურებისა და მათი უკიდურესი დაცემის გამომხატველია. თავიანთი სიძნელეებიდან და ლატაკური მდგომარეობიდან ფაშისტებს სურთ ებრაელების რბევისაკენ გადაიტანონ მასების ყურადღება, გაძარცვონ ებრაელები და ამით შეიმსუბუქონ მდგომარეობა. „ნაციონალური და რასიული შოვინიზმი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არის ნაშთი კაცთმოძულეობის ზნე - ჩვეულებებისა, რომლებიც დამახასიათებელია ჯანიბალიზმის პერიოდისათვის. ანტისემიტიზმი, როგორც რასიული შოვინიზმის უკიდურესი ფორმა, ჯანიბალიზმის ყველაზე საშიში ნაშთია. ანტისემიტიზმი ხელსაყრელია ექსპლოატატორებისათვის, როგორც მებაბრიდი, რომელიც კაპიტალიზმს მშრომელთა დარტყმებს არიდებს".

მეფის თვითმპყრობელობაც ზნირად მიმართავდა ებრაელების რბევას ჩვენში, მაგრამ ამან კიდევ უფრო დაიჩქარა ცარიზმის დაღუპვა და ებრაელები სხვა მშრომელებთან ერთად სამუდამოდ გაიათავისუფლა რბევისა და ჩაგვრისაგან.

რა შედარებაა!

ებრაელები ფაშისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირში. ფაშისტურ გერმანიაში ებრაელების ცხოვრება კატასტროფულია ისე, როგორც კატასტროფული ხდება იქ ყველა მშრომელთა ცხოვრება. საბჭოთა კავშირში ებრაელების ცხოვრება საამური გახდა სხვადასხვა ხალხთა ერთ ძმურ დიდ ოჯახში, ისე როგორც საამური გახდა მთელი მშრომელთ. ცხოვრება. ამიტომ საბჭოთა ხალხმა, სტალინური ზრუნვით გამთბარმა, არ შეიძლება მხურვალე თანაგრძნობა არ გამოიჩინოს ფაშისტური ქვეყნების ებრაელებისადმი და უდიდესი ზიზღი არ გამოუცხადოს ფაშისტებს, კაციჭამია შოვინისტებს, რომლებიც კატორღას მოვლენიან სისხლის საღვრელად, კულტურის გასანადგურებლად, ომის გასაჩაღებლად.

მოსკოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხანაგ სტალინს

ქ. თბილისის პარტიული აქტივის საერთო საქალაქო კრება, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს პარტორგანიზაციების ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებიდან „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ", — მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს.

ერთსულოვანი, მხურვალე მოწონების გრძნობით, უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდნენ თბილისისა და საქართველოს ბოლშევიკები, მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ დადგენილებას, რომელიც მთელი ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციის სტალინურ პროგრამას წარმოადგენს.

ლენინთან ხელიხელჩაკიდებული, თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, იდეოლოგიურ საფუძვლებს უყრიდით ბოლშევიკთა დიად პარტიას, დაუღალავად ასწავლიდით და ასწავლით პარტიულ კადრებს დაუფასონ რევოლუციური თეორიის ძალა, ბოლშევიკური შეურიგებლობის მთელი ძალით დაიცვან მისი სიწმინდე.

იმპერიალიზმის, იმპერიალისტური ომებისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ახალ პირობებში, სსრ კავშირში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ისტორიული ბრძოლის პირობებში, თქვენ შემდგომ განავითარეთ მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრება, აიყვანეთ იგი ახალ საფეხურზე.

საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, პარტიამ სასტიკად დაამარცხა მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა და ყოველგვარი მტრები, მშრომელთა მტრები.

თქვენი ბრძნული მითითებებით შეიარაღებულმა პარტიამ ამხილა და გაანადგურა ფაშისტურ დაზვერვათა დაქირავებული აგენტები — კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, ბუხარინელები, მათი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურა, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ წარმოებულ თავიანთ ბრძოლაში ცდილობდნენ დაემახინჯებინათ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური მოძღვრება, აეცდინათ პარტია ლენინურ-სტალინური გზიდან, წაერთმიათ საბჭოთა ხალხისათვის მისი დიდი მონაპოვარი, მოექციათ საბჭოების ქვეყანა საერთაშორისო იმპერიალიზმის კაბალაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ ახალი ძალით ამაღლებს ჩვენს პოლიტიკურ სიფხიზლეს მტრის ნაბოლარების ოინებისადმი, გვეხმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის ცოდნით, საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით შეიარაღებაში.

ქ. თბილისის პარტიული აქტივის საერთო-საქალაქო კრება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აღმოუხვრას პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებზედაც მიგვითითებს საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, დავნერგოთ კომუნისტთა მიერ ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი, შევაერთოთ პროპაგანდის ბეჭდვითი ფორმა, როგორც მთავარი, სიტყვიერთან, ვუხელმძღვანელოთ პროპაგანდას არსებითად, ყოველნაირად ავამაღლოთ მისი ხარისხი, ვიბრძოლოთ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, შევაიარაღოთ იგი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის — ბოლშევიზმის ამ მძლავრი სტალინური იდეური იარაღის ცოდნით.

შეუპოვრად და დაჟინებით იმუშავებენ რა თავის თავზე, დაეუფლებიან რა ლენინ-სტალინის დიად რევოლუციურ თეორიას, საქართველოს ბოლშევიკები ამ თეორიის დროშით, ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მშრომელებს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, დიდ სტალინს!

საკრებულოს ცნობა

მთელი რიგი საუბრებით, რომლებსაც ამ ბოლო დროს ადგილი ჰქონდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ლიტვინოვსა და პოლონეთის რესპუბლიკის ელჩ ბ-ნ გრუიბოვსკის შორის, გამოირკვა, რომ:

1) პოლონეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ურთიერთობის საფუძვლად კვლავაც რჩება მთელი თავისი მოცულობით ყველა არსებული ხელშეკრულება, თავდაუსხმელობის შესახებ 1932 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების ჩათვლით, და რომ ამ ხელშეკრულებას, რაც დადებული იყო ხუთი წლით და განგრძობილ იქნა შემდგომი ვადისათვის 1945 წლამდე, საკმაოდ ფართო საფუძველი აქვს, რომელიც უზრუნველჰყოფს ორივე სახელმწიფოს მშვიდობიანი ურთიერთობის დაურღვევლობას.

2) ორივე მთავრობა დადებითად მოეპყრობა ურთიერთ სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას.

3) ორივე მთავრობა თანახმაა, რომ საჭიროა დადებითად გადაიჭრას ურთიერთი სახელშეკრულებო დამოკიდებულებიდან გამომდინარე მთელი რიგი მიმდინარე საკითხები, განსაკუთრებით ის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, აგრეთვე ლიკვიდირებულ იქნას ამ ბოლო დროს შექმნილი ჩასაზღვრო ინციდენტები.

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება სტამბოლიდან

სტამბოლი, 26 ნოემბერი (საკადესი). დღეს დილით სტამბოლიდან სევასტოპოლს საესკადრო ნაღმოსნით გაემგზავრა ამხანაგ პოტიომკინის მეთაურობით, საბჭოთა დელეგაცია, რომელიც იღებდა ქემალ ათათურქის დაკრძალვაში.

სსრ კავშირის მუშა-მოსამსახურეთა დახმარება სურსათით რესპუბლიკური ესპანეთის ბავშვებს

მოსკოვი, 27 ნოემბერი. საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა რესპუბლიკური ესპანეთის ბავშვთა სასარგებლოდ შემოსულ სახსრების ანგარიშიდან შეისყიდოს და ესპანეთში გააგზავნოს:

1. სამასი ათასი ფუთი ხორბალი;
2. რძისა და ხორცის ასი ათასი ქილა კონსერვი;
3. ათასი ფუთი კარაქი;
4. ხუთი ათასი ფუთი შაქარი.

(საკდესი).

სამეცნიერო მუშაობა ყინულმჭრელ „სედოვზე"

მოსკოვი, ყინულმჭრელი „სედოვის" გემბანი. 26 ნოემბერი. (საკდესის რადიოსპეცკორ.). ყინულმჭრელ „სედოვზე" დრეიფის პირობებში სისტემატურად სწარმოებს სამეცნიერო მუშაობა და დაკვირვება.

„ერმაკის" წასვლის მომენტიდან „სედოვზე" ჩატარებულ იქნა გემის ადგილსამყოფლის 65 astრონომიული განსაზღვრა. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დიდი სიზუსტით ვადევნოთ თვალყური პოლარულ აუზში ყინულების დრეიფის მიმდინარეობას. მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაკვირვებანი აძლევენ ცნობებს დრეიფის ხასიათის შესახებ.

ყინულმჭრელი „სედოვის" მეცნიერი თანამშრომელნი რეგულარულად ეწევიან მუშაობას სიმძიმის ძალისა და დედამიწის მაგნეტიზმის ელემენტების განსაზღვრისათვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მაგნეტიური დაკვირვებანი — იშვიათი გამონაკლისის გარდა—ამჟღავნებენ მაგნიტურ გრიგალს, რაც თითქმის არ სწყდება ამ განედებში და ზოგჯერ მნიშვნელოვან ძალას აღწევს.

ჰიდროლოგიურმა დაკვირვებებმა გამოარკვიეს, რომ 250-300 მეტრის სიღრმეზე თბილი წყლის ფენა არსებობს, ხდება ყინულის ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა. 2 საათში ერთხელ ხდება ამინდის დაკვირვება.

ბეკასოვი

ჩემპიონატის საქართველოს ორგანიზაციის VI ყრილობა

ყრილობის მეორე და მესამე სხდომაზე მიმდინარეობდა კამათი რემედასის საქართველოს ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ნ. ალაჯალოვას მოხსენების გარშემო.

ამხ. კილაძემ (სამტრედია) განაცხადა, რომ რემედასის ორგანიზაციებში ჯერ კიდევ მოუგვარებელია აღრიცხვის საქმე. რემედასის სამტრედიის რაიკომი თავის რიგებში ითვლიდა 4500 წევრს; შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ნამდვილად ორგანიზაციაში ირიცხება 1500 წევრი.

ამხ. კიკნაძემ (ბორჯომი) აღნიშნა, რომ რემედასის ცენტრალური კომიტეტი რაიკომებს არ უწევს ოპერატიულ ხელმძღვანელობას. მიმდინარე წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოგვაკითხა კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელსაც არავითარი დახმარება არ გაუწევია.

რემედასის წულუკიძის რაიონულ კონფერენციაზე, — ამბობს ამხ. ესაია (რემედასის ცენტრალური კომიტეტი), — რაიკომის მდივანი ცენტრალურ კომიტეტს ბრალს სდებდა იმაში, რომ წიგნაკებს არ გვიგზავნიანო. შემოწმების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ მის მაგიდის უჯრაში საკმარ რაოდენობით ეწყო გამოუყენებელი წიგნაკები. რემედასის ჩხოროწყუს რაიკონფერენციაზე არჩევნები ჩატარდა დამაბინძურებით — ღია კენჭისყრით. პარტიის რაიკომთან შეთანხმებით არჩევნები ხელახლად ჩატარდა. გეგეჭკორის რაიონში მუშაობა ჩაშლილია. რაიონულ კონფერენციაზე სარევიზიო კომისიის არჩევნები სულ „დაავიწყდათ".

რემედასის ცალკეულ რაიონულ კომიტეტებს და უჯრედებს საკუთრად აქვთ დაყენებული მუშაობა. ქობულეთის ვოროშილოვის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში 559 კაცია რემედასის წევრი. კოლმეურნეობამ ესპანეთის ბეჭირი ხალხის სასარგებლოდ გადარიცხა 1500 მან. აქ გამოყოფილი აქვთ ამხ. ტელმანის სახელობის ნაკვეთი, რომლის წლიური შემოსავალი 3,361 მანეთი გადარიცხეს ამხ. ტელმანის სასარგებლოდ. კოლმეურნეობაში სისტემატურად ტარდება მოხსენებები და საუბრები საერთაშორისო საკითხებზე. ამავე თემაზე უჩვენებენ კინო-სურათებს.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. შკურკა (აქარა), კოლბაია (ცაგერი), რევაზოვი (თელავი), პოლოსოვი (ბათუმი), დუმბაძე (თბილისი), გ. ელისაბედაშვილი (სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი) და სხვ. კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 30 კაცმა.

ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

ყრილობის მეოთხე, უკანასკნელ სხდომაზე ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 35 წევრისა და სარევიზიო კომისია 7 წევრის შემადგენლობით.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი **მ. ჯალი.**

ყრილობამ ხანგრძლივი, მჭუხარე ოვაციით მიიღო წინადადება დიდი **სტალინისადმი** მისალმების გაგზავნის შესახებ. მისალმებები გაეგზავნათ აგრეთვე ამხ. **დიმიტროვს** და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. **კ. ჩარკვიანს.**

⊙

გუშინ შესდგა რემედასის საქართველოს ორგანიზაციის ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმის პირველი სხდომა. პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩია შემდეგი ამხანაგები: **ნ. ალაჯალოვა, თ. აბაშმაძე, გ. ელისაბედაშვილი, მ. ნანობაშვილი, ნ. ბარბაქაძე, რ. ატეისიანი და ა. ქემოკლიძე.**

რემედასის საქართველოს ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **ნ. ალაჯალოვა,** პასუხისმგებელ მდივნად ამხ. **თ. აბაშმაძე.**

საფრანგეთის მშრომელთა ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ

პარიზი, 26 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის რეაქციული პრესა ყოველნაირად ცდილობს ჩაშალოს შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ 30 ნოემბრისათვის დანიშნული საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ. რეაქციული გაზეთები იუწუებიან, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს, რათა საჭიროების დროს განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაიყვანოს სამთამადნო მაღაროები, რკინიგზები, კავშირგაბმულობის დარგი და სხვ. და რომ სახელმწიფო მოსამსახურენი, თუ ისინი გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებენ დათხოვნილი იქნებიან და სხვ.

გუშინ პარიზში ავრცელებდნენ ხმებს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დაშალოს კომუნისტური პარტია. ეს ხმები დღემდე ოფიციალურად არ არის უარყოფილი.

„ლუმანიტე" იუწყება, რომ პროვინციაში გაგზავნა აგენტები, რომლებსაც დავალებული აქვთ ამხედრონ სოფლის მოსახლეობა პარიზის მოსახლეობის წინააღმდეგ. პროვოკატორების დახმარებით რეაქცია ცდილობს განამარტოოს მუშათა კლასი დანარჩენი დემოკრატიისაგან, ლახვარი ჩასცეს შრომის საყოველთაო კონფედერაციასა და კომუნისტურ პარტიას.

⊙

პარტიის — „სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირის" (ეს პარტია სახალხო ფრონტში შედის) საპარლამენტო ჯგუფმა გუშინ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ჰგმობს საფრანგეთის მთავრობის საგანგებო დეკრეტებს და წინადადებას აძლევს ამ პარტიის წევრ-მინისტრებს მიიღონ ზომები აღნიშნული დეკრეტების შესაცვლელად.

⊙

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც ჰგმობს მუშათა კლასის ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ რეპრესიებს, დივერსიებსა და პროვოკაციებს.

ჰავასის სააგენტო იუწუება, რომ რკინიგზელთა ფედერაციის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ყველა რკინიგზელ მუშას ერთსულოვნად გამოეხმაურონ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გადაწყვეტილებას საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის შესახებ.

სოციალისტები მოითხოვენ მთავრობის გადაღგომას

პარიზი, 26 ნოემბერი (საკდესი). სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სხდომამ, რომელიც გუშინ შესდგა, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„სოციალისტური ჯგუფი მოითხოვს მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას, მთავრობისა, რომელიც უკვე აღარ ეყრდნობა უმრავლესობას არც დეპუტატთა პალატაში, არც ქვეყანაში. რეაქციული პოლიტიკა მთავრობისა, რომელიც სისტემატურ პროვოკაციებს მიჰმართავს მუშათა კლასის წინააღმდეგ, საშიში ხდება ხალხისა და რესპუბლიკისათვის".

დიუკლოს გამოსვლა დეკუვჯთა პალატის საფინანსო კომისიაში

პარიზი, 26 ნოემბერი (საკდესი). გუშინ შესდგა დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის სხდომა.

ამ სხდომაზე უკვ დიუკლო გამოვიდა პროტესტით იმის წინააღმდეგ, რომ პოლიცია საწარმოებიდან აძევებს გაფიცულ მუშებს, მაშინ როდესაც შესაძლებლობა იყო დაეყოლებინათ გაფიცულები, რომ მათ ალტერნატივად გაენთავისუფლებინათ საწარმოები. დიუკლომ ენერგიული პროტესტი განაცხადა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ აქამდე არ არის ოფიციალური უარყოფა ხმებისა, რომ თითქოს მთავრობას განზრახული ჰქონდეს კომპარტიის აკრძალვა. შემდეგ დიუკლომ პროტესტი განაცხადა საფრანგეთიდან უცხოელების—ანტიფაშისტების გასახლების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც მთავრობა ითმენს საფრანგეთში უცხოელი ემიგრაციის საეჭვო ელემენტების ყოფნას.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის გადაწყვეტილება

პარიზი, 25 ნოემბერი (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრატიული კომისიის სხდომამ, რომელიც საღამოს დამთავრდა, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც პროტესტს აცხადებს გაფიცული მუშების მიმართ მთავრობის მიერ ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ.

ადმინისტრატიული კომისია მოუწოდებს მუშებს მოირიდონ ნაადრევ მოქმედებას და მტკიცედ შეასრულონ ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების მითითებანი.

ადმინისტრატიულმა კომისიამ გადასწყვიტა — 30 ნოემბერს გამოაცხადოს 24 საათიანი საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა მთავრობის საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ. ჯანმრთელობის დარგი და საწარმოთა დაცვის განყოფილება იმუშავებენ. ამავე დროს ადმინისტრატიულმა კომისიამ გამოაცხადა, რომ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი არ აქვს.

ჯიროვის რაიკომის ბიუროს სხდომა

ჯიროვის რაიკომის ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა ჯიროვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის მოხსენება ქალაქის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

ბიუროს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბაბაიანმა.

ბიუროს სხდომაზე გამოსვლა ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბაბაიანმა.

ბიუროს სხდომაზე გამოსვლა

პარტიული ცხოვრება

დავეხმაროთ ინჟელიგენციას ბოლშევიზმის დაუფლებაში

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში 60-ზე მეტი ინტელიგენტი მუშაობს. ესენი არიან ქარხნის ხელმძღვანელი კადრები, ინჟინრები, განყოფილებების უფროსები, ეკონომისტები, ბუხჰალტრები და სხვ., რომლებიც სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ პასუხსაგებ სამუშაოს. ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ლ. აივაზოვი მიმდინარე წელს მიიღეს პარტიაში, როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. მიუხედავად იმისა, რომ იგი დატვირთულია სამსახურებრივი მოვალეობით, მუშაობს თავისი იდეური დონის ამაღლებისათვის, ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას.

პარტიაში მიიღეს ქარხნის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — ინჟინრები გიორგი ბერძენიშვილი, შალვა რუხაძე, სოფიო სამხარაძე, ნიკოლოზ ხოჩიაშვილი და სხვ. მიმდინარე წელს ქარხნის პარტორგანიზაციამ პარტიის რიგებში მიიღო სულ 10 ინტელიგენტი.

რა მუშაობას აწარმოებს მათთან პარტორგანიზაცია, როგორ ზრდის მათ?

დღემდე ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდის საქმე ქარხანაში არადამაკმაყოფილებლად დგას. პარტორგანიზაცია კმაყოფილდება იმით, რომ ინტელიგენტები „გაერთიანა“ პოლიტწრეებში, მიუხედავად მათი სურვილისა და შესაძლებლობისა, კომუნისტებში ვ. ამირგულოვი, ვ. ბაღდასაროვი, ს. ამირჯანოვი და სხვები აცხადებდნენ, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად იმუშაონ წიგნზე, ინდივიდუალურად შეისწავლონ პარტიის ისტორია, მაგრამ ისინი დღესაც არ არიან განთავისუფლებული წრეში მეცადინეობისაგან. ამხ. ვ. ამირგულოვი მეოთხე წელია სწავლობს ერთსადაიმავე წრეში. ახლა მას უკვე აღარ აკმაყოფილებს წრეში მეცადინეობა. ირჩევს დამოუკიდებლად მუშაობას. სათანადო პირობები კი მისთვის ჯერ არ არის შექმნილი.

ინდივიდუალურად მომუშავე ინტელიგენტები უზრუნველყოფილი არ არიან კონსულტაციით. დღემდე არ ჩატარებულა კვალიფიციური ლექციები, მოთხოვნილება კი მათზე ძალიან დიდია. ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ამხ. ს. ჯამბულადოვი აცხადებს, რომ იგი სისტემატურად კითხულობს ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებს, კონსულტაციებს და თეორიულ წერილებს, მაგრამ მას მაინც სჭირდება ზოგიერთ საკითხებზე ახსნა - განმარტება.

— სასურველია, — ამბობს ამხ. ჯამბულადოვი, — ჩვენს ქარხანაში სისტემატურად ეწყობოდეს ლექციები და კონსულტაციები. ეს დიდად დაგვეხმარება ჩვენ, რომლებმაც უკვე დავიწყეთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა.

ამიტომ არის, რომ ამხანაგების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ დაუწყია პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლა.

საჭიროა ქარხნის ინტელიგენტებს, რომლებმაც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ინდივიდუალური შესწავლის სურვილი განაცხადეს, სისტემატური მეთოდური დახმარება გაეწიოთ, ჩატარდეს კვალიფიციური ლექციები, მოეწყოს კონსულტაციები.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვებამ აამაღლა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინტელიგენციის აქტივობა, გაზარდა მისი ინტერესი ცოდნისადმი, ბოლშევიზმის დაუფლებისადმი. პარტიულმა ორგანიზაციამ მზედგელობაში უნდა მიიღოს ინტელიგენციის ეს გაზრდილი მოთხოვნილება და მას ბოლშევიკურად დაეხმაროს.

ვ. მამალაძე

ოთხი თეორიული მოხსენება

23 ნოემბერს საღამოს ქ. თბილისის ქიროვის რაიონში ჩატარდა ოთხი თეორიული მოხსენება რაიონის პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციისათვის.

რაიონის პარტიული აქტივისტებისათვის რაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდა ამხ. ფრიშენბერგის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებას დიდი ინტერესით უსმენდა 120 მეტი პარტიული აქტივისტი.

პარტკაბინეტში რაიონის მასწავლებლებისათვის ჩატარდა ამხ. ს. ლარცულიანის მოხსენება თემაზე—„ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში“. მოხსენებას 90 მასწავლებელი დაესწრო; მათგან უმრავლესობა ქალები იყვნენ.

თბილისის საბჭოს სხდომათა დარბაზში რაიონის ექიმებისათვის ჩატარდა ამხ. ვ. იმედაძის მოხსენება ლენინის გენიალური წიგნის „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ — შესახებ. მოხსენებას 75-მდე სამედიცინო დარგის მუშაკი დაესწრო.

საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ვაჭრობის დარგის მუშაკთათვის ჩატარდა ამხ. ს. დონაძის მოხსენება თემაზე: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში“. მოხსენებას 80 კაცი დაესწრო.

რაიონის პარტიული და არაპარტიული ინტელიგენცია დიდ სურვილს გამოსთქვამს ასეთი თეორიული მოხსენებები მოეწყოს ხშირად.

ალ. გოგოლაძე

ბოლშევიზმის თეორიის დაუფლების საპროგრამო დოკუმენტი

ნაკლოვანებებს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების დარგში, რომლებიც აღნიშნული იყო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებაში, ადგილი აქვთ აფხაზეთის საოლქო პარტორგანიზაციაშიც. ეს ნაკლოვანებანი მდგომარეობენ საწრეო მუშაობაში მსმენელთა დიდი რაოდენობით „ჩაბმადმი“ გამოდევნებაში, წრეების რაოდენობის გადიდებაში პროპაგანდისტული მუშაობის ხარისხის საზიანოდ. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობაში.

პროპაგანდის საქმეს ახორციელებდნენ ცალკეული ორგანიზაციები პარტგაგანათლების ქსელში, კომკავშირული ორგანიზაციები კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში და ცალკეული პროფკავშირების პროფპოლიტსკოლების ქსელში. მაგალითად, ჩვენ გვაქვს 260 პარტიული წრე, რომლებშიც ჩაბმულია 2916 კაცი, 893 კომკავშირული წრე, რომლებშიც ჩაბმულია 14500 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა, და 220 პროფპოლიტწრე, რომლებშიც ჩაბმულია პროფკავშირის 4500 წევრი. ცალკეულ, ყველაზე უფრო დიდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში წრეების რიცხვი 30-35-მდე ადიოდა (პედინსტიტუტი, ნავსადგური, სოხუმჰესი, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირი და სხვ.). ამ წრეების უმრავლესობაში არაორგანიზებულობა და კუსტარულობა იქამდე მიდიოდა, რომ ადამიანები წლობით ისხდნენ ერთდაიმავე წრეში და სწავლას ყოველწლიურად თავიდან იწყებდნენ.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებთან ერთად პარტიული პროპაგანდის დაყენებაში ადგილი ჰქონდა ადმინისტრირებას, დავიწყებული იყო წრეებში მეცადინეობის ნებაყოფლობის პრინციპი. ასე, მაგალითად, სოხუმჰესში პოლიტკოლნის წრეში მუშებთან ერთად სხედან ინჟინრები, რომლებმაც დაამთავრეს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები და შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად იმუშაონ თავის თავზე მარქსიზმ-ლენინიზმის პირველწყაროების გამოყენებით. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქ სოხუმის მსწავლებლებზედაც, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდნენ წრეებში „ჩვენი სამშობლო“. იშვიათი არ იყო ისეთი მოვლენები, როდესაც პარტიის მომზადებულ წევრებს მეცადინეობაზე დროზე გამოუცხადებლობისა და მეცადინეობის გაცდენისათვის ადებდნენ პარტიულ სასჯელს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ერთერთი სერიოზული ნაკლი იყო წრეებში მეცადინეობის არასწორი მეთოდი, როდესაც მთელი მეცადინეობა მდგომარეობდა წაკითხვასა ან ლექციის მოსმენაში და მსმენელებს უკარგავდნენ ინტერესს ცოცხალი საუბრისადმი. მაგალითად, კომკავშირის გუდაუთის რაიკომმა კომკავშირის საოლქო კომიტეტის დირექტივის თანახმად მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს სემინარის მეცადინეობაზე მოიწვია კომკავშირული სკოლების 75 პროპაგანდისტი, რომლებიც 8 საათის განმავლობაში აიძულეს თვალი ედევნებინათ უურნალში, თუ როგორ ქითხულობს სემინარის ხელმძღვანელი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანა, დაჰგმო ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება ჩვენი კადრების პოლიტიკური აღზრდისადმი. ეს მთლიანად ეხება აფხაზეთის პარტორგანიზაციასაც, სადაც არ სწარმოებდა მუშაობა ინტელიგენციასთან. სოხუმში ითვლება 400-მდე ინჟინერი, ტექნიკოსი, ეკონომისტი, 150-ზე მეტი ექიმი, 400-მდე პედაგოგი, ათობითი მწერლები, მსახიობები, არქიტექტორები, მხატვრები, ათასობით საბჭოთა მოსამსახურეები. მხოლოდ ველურობა შეიძლება ეწოდოს ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც სახ. დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ნაწილმა გამოიჩინა ინჟინრებისადმი, რომლებიც სახალხო კომუნალური მეურნეობის სისტემაში მუშაობენ. მიუხედავად მათი მოთხოვნისა მათთან პოლიტიკური მუშაობის ჩატარების შესახებ, ამხ. გაზარიანს აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია. ქალაქში ყველასათვის ცნობილი ინჟინერი ვოშჩელევი აშკარად აცხადებს: „ჩვენთან არავინ მეცადინეობს და მე პოლიტიკურად ჩამოვრჩი“. მხოლოდ ხულიგნობა შეიძლება ეწოდოს ისეთ ფაქტს, როდესაც ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკების სექციათაშორისო ბიუროს ყოფილი საზოგადოების ტექნიკურ-მხატვრული ბიბლიოთეკა დატაცებულ იქნა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს საჭირო ლიტერატურა აღარ გააჩნიათ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნება ახალი მობრუნებით პარტიული პროპაგანდის დარგში. ამჟამად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციის წინაშე დასახულია ბოლშევიკური ამოცანა მთელი პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობა გარდაჭრას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე. ფართო მასები დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას.

აფხაზეთის პარტორგანიზაცია პარტწრეებს აყალიბებს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების მითითებათა საფუძველზე. ნავარაუდევია ყველა ქალაქებში მოეწყოს კონსულტაციები იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ ინდივიდუალურად მეცადინეობა. ამჟამად სწარმოებს კონსულტანტების ჯგუფის შერჩევა. პარტკაბინეტსა და ინტელიგენციის დასახმარებლად პარტიის საოლქო კომიტეტი აწყობს ლექციების ციკლს პარტიის ისტორის ცალკეულ საკითხებზე მარქსიზმ-ლენინიზმის პირველწყაროების მიხედვით.

დღემდე აფხაზეთის ორგანიზაციაში წაკითხულია ლენინის შრომა — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საოლქო კომიტეტის წინაშე გადაუდებელ ამოცანად ისახება:

ხელახლა გადაისინჯოს პროპაგანდისტების შემადგენლობა, შერჩეულ იქნან ლექტორები, შესწავლილ იქნას პარტკაბინეტების მუშაობა და იხილონ უზრუნველყოფილ იქნან კვალიფიციური კადრებით.

ვ. ტრაპაიძე

საქ. ვ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე.

საერთაშორისო მიმოხილვა

განვლილი პერიოდის საერთაშორისო მოვლენებმა ერთხელ კიდევ უარყოფითი მკაფიობით ცხადყვეს მთელი მსოფლიოს წინაშე, თუ რაოდენ მცდარი იყო ის შეხედულება, რომ რაც უფრო მეტად ახდენენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყნები კაპიტულაციას ფაშისტ აგრესორების წინაშე, მით უფრო თავიდაური და მომაბეზრებელი ხდება ამ უკანასკნელთა მოთხოვნები.

დათმობათა პოლიტიკა, რომელსაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოები ატარებენ, სრულებითაც არ არის გამოწვეული ფაშისტ აგრესორთა ნამდვილი ძალით. პირიქით, ორც საფრანგეთისათვის და ორც ინგლისისათვის ომისათვის არ წარმოადგენს; რომ საშინარ ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა როგორც გერმანიაში, ისე იტალიაში, აგრეთვე იაპონიაშიც არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არა როგორც უკიდურესად მძიმე.

⊙

ფაშისტ მმართველნი მზად არიან ყველაფერი ჩაიდინონ, ოღონდ კი შეინარჩუნონ თავიანთი სისხლიანი ტეროროისტული დიქტატურის მოახლოებული კრახი. ესენი იყენებენ რა სობრივ და ნაციონალურ ცრუშეხედულებებს, რათა მოატყუონ მშრომელი მასები, თავიდან აიცილონ „ხალხის რისხვა“.

სამხედრო ტვირთით წელში გაწყვეტილი გერმანიის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. გერმანიის მშრომელ მოსახლეობა მშიერ ულუფაზეა დაყენებული. ფაშისტური სახელმწიფო მათგან მოითხოვს სულ ახალ-ახალ მსხვერპლს ომის საწარმოებლად. გადასახადები განუწყვეტლივ იზრდება. საკმარისია ითქვას, რომ 1932 წლიდან გადასახადები გაზარდა 5.650 მილიონი მარკიდან 17,5 მილიარდ მარკამდე 1938 წელს. გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები ლატაკდებიან. 1937 წელს გერმანიაში დაიხურა 9.448 კუსტარული სახელოსნო. ხოლო წელს ნაკლებად კიდევ 600 ათასის დახურვა. მასებში უკმაყოფილობა სულ უფროდაუფრო მკაფიო ფორმებს ღებულობს.

ბურჟუაზიული პრესა სულ უფროდაუფრო ხშირად იუწყება ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა დეზერტირობა გერმანიის არმიიდან, მუშათა პროტესტები, რომლებიც, სხვათა შორის, გამოიხატება სამხედრო პროდუქციისა და საწარმოთა მოწყობილობის მასობრივი გაფუჭების ფორმით, დიასახლისთა შორის მღელვარება, სიძვირის ზრდის გამო, და, ბოლოს, ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, რომლებმაც მნიშვნელოვან ზომას მიაღწია ჩეხოსლოვაკიაზე გერმანიის თავდასხმის მომზადების წინდღით.

⊙

იაპონიის მძიმე საშინაო მდგომარეობის მჭერმეტყველური დახასიათება მოგვცა ამ დღეებში ცნობილმა ინგლისელმა კონსერვატორმა უინსტონ ჩერჩილმა თავის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტში“. ამ გაზეთზე შეუძლებელია ეჭვი მივიტანოთ, რომ მას სურს გააზვიადოს იაპონიის სამხედრო ხროვის სიძნელენი.

„იაპონიაში, — სწერს იგი, — მდგომარეობა ყოველთვე მწვავდება, იმისდაკვალად, რაც ომი ფართოვდება. იაპონიის მოსახლეობა იტანჯება გადასახადების ტვირთით. მთავრობის წინაშე დგას უძნელესი ამოცანა — შეინახოს აზიის კონტინენტზე ერთ მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ძვირად ღირებული სამხედრო აპარატი. იაპონია იძულებულია სულ მეტი რაოდენობით შეიტანოს სამხედრო ნედლეული. ქვეყანა ნავთისა და კაუჩუკის უმწვავეს ნაკლებობას განიცდის. ომისათვის საჭირო ლითონების მარაგი სრულიად უმნიშვნელოა. კრედიტი ამოიწურა, ხოლო იაპონიის საექსპორტო შესაძლებლობებს სრულებითაც არ შესწევს ძალა დაფაროს საჭირო იმპორტი. ოქროს მარაგი 75 პროცენტით შემცირდა მას შემდეგ, რაც ჩინეთში შესულა ომები — ინგლის-იტალიის ანტაგონიზმი

იაპონიის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, იაპონელი გლეხის სატლატაკეზე, იაპონელ ჯარისკაცთა თვითმკვლელობებსა და დეზერტირობაზე, იაპონიის მშრომელთა უფართოესი მასების მზარდ უკმაყოფილობაზე, სულ უფროდაუფრო ხშირად სწერს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული პრესა. ეი უკანასკნელი მჭერმეტყველური ფაქტები და ციფრები: ამჟამად იაპონიაში, მიუხედავად სამხედრო მრეწველობის უდიდესი ზრდისა, 1.815 ათასი უმუშევარი ითვლება. იაპონელი მუშის ხელფასი 14-16 საათამდე დღე გადიდებულია 9.448 კუსტარული სახელოსნო. ხოლო წელს ნაკლებად კიდევ 600 ათასის დახურვა. მასებში უკმაყოფილობა სულ უფროდაუფრო მკაფიო ფორმებს ღებულობს.

ბურჟუაზიული პრესა სულ უფროდაუფრო ხშირად იუწყება ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა დეზერტირობა გერმანიის არმიიდან, მუშათა პროტესტები, რომლებიც, სხვათა შორის, გამოიხატება სამხედრო პროდუქციისა და საწარმოთა მოწყობილობის მასობრივი გაფუჭების ფორმით, დიასახლისთა შორის მღელვარება, სიძვირის ზრდის გამო, და, ბოლოს, ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, რომლებმაც მნიშვნელოვან ზომას მიაღწია ჩეხოსლოვაკიაზე გერმანიის თავდასხმის მომზადების წინდღით.

⊙

ინგლის-იტალიის შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა, ხელსაყრელია არა ინგლისისათვის, არამედ იტალიისათვის. ტყუილად კი არ ლაპარაკობდა მუსოლინი ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩემბერლენს ასეთი სიძნელეებით მიეწია ამ შეთანხმების რატიფიკაციისათვის პარლამენტში. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი გადაჭრით განწყობილი იყო ამ შეთანხმების წინააღმდეგ, რომელმაც ესოდენ მკაფიოდ ასახა ინგლისის იმპერიალიზმის კაპიტულაცია ფაშისტ აგრესორების წინაშე.

ამ შეთანხმებით ინგლისმა ოფიციალურად სცნო იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა. გარდა ამისა, იტალიამ მიაღწია იმას, რომ ინგლისმა აღიარა იტალიის გავლენა როგორც ხმელთაშუა და მეწინავე ზღვებში, ისე აფრიკის სანაპიროზე და არაბეთში, ესე-იგი სწორედ იმ რაიონებში, რომლებიც ინგლის-იტალიის გაფრთრებული ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენენ. დასასრულ, იტალიელებს იმედი აქვთ უახლოეს დროში მიიღონ ინგლისში 30 მილიონი ფრანკის სტერლინგი სესხი, რაც ესოდენ ესაჭიროება ფაშისტ „დანაბერებელთა“ ცარიელ სალაროს.

მაგრამ ინგლის-იტალიის შეთანხმების მნიშვნელობა სრულებითაც არ ამოიწურება მისი ძირითადი პუნქტებით. მისი ძალაში შესვლა მოსწყვეტს ესპანეთში ფაშისტური ინტერვენციის შემდგომ გაფართოებას, ვინაიდან მუსოლინიმ არ შეასრულა შეთანხმების რატიფიკაციის პირობად წაყენებული თავდაპირველი მოთხოვნა — ესპანეთში უცხოელთის ინტერვენციის შეწყვეტა და იქიდან უცხოელთა არმიის გაყვანა. ფრანკოს არმიიდან 10 ათასი ავადმყოფი და დაჭრილი იტალიელი ჯარისკაცის „ევაკუაციის“ დიდი ამბით ინსცენირება, რა თქმა უნდა, ვერ მოატყუებდა ვერც საფრანგეთისა და ვერც ინგლისის საზოგადოებრივ აზრს. ამჟამად, ისე როგორც არასდეს წინათ, ინტერვენტებს ეძლევათ შესაძლებლობა განაგრძონ მტაცებლური ომი ესპანეთში. იტალიის ჯარები და იარაღი განუწყვეტლივ მიდის პირენეის ნახევარკუნძულზე.

